

***European Convention – ETS 123***

---



*ევროპული კონვენცია სერია – No. 123*

**ექსპერიმენტების ან სხვა სამეცნიერო მიზნებისთვის  
გამოყენებული ხერხემლიანი ცხოველების დაცვის  
ევროპული კონვენცია**

**სტრასბურგი, 18.III.1986**

ტექსტში ცვლილებები შეტანილია ოქმის (ETS No. 170) დებულებების შესაბამისად, 2005 წლის 2 დეკემბერს მისი ძალაში შესვლის დროს.

## შესავალი

წინამდებარე კონვენციის ხელისმომწერი, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები,

ვინაიდან, ევროსაბჭოს მიზანია მის წევრ-ქვეყნებს შორის უფრო მტკიცე ერთიანობის მიღწევა, ის, რომ იგი ისწრაფვის ითანამშრომლოს სხვა ქვეყნებთან ექსპერიმენტებისა ან სხვა სამეცნიერო მიზნებისთვის გამოყენებული ცხოველების დაცვის საქმეში;

აღიარებენ რა, რომ ადამიანის მორალური ვალდებულებაა პატივი სცეს ცხოველებს და სათანადო გულისხმიერებით მოეკიდოს იმ ფაქტს, რომ მათ გააჩნიათ განცდის და მახსოვრობის უნარი;

ამასთან, აღიარებენ რა, რომ ადამიანს ცოდნის მიღების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ესაჭიროება ცხოველების გამოყენება, როდესაც არსებობს დასაბუთებული მოლოდინი, რომ ეს ხელს შეუწყობს ცოდნის გაღრმავებას ან ზოგადად იქნება სასარგებლო შედეგების მომტანი, როგორც ადამიანების, ასევე ცხოველებისთვის ისევე, როგორც იგი იყენებს ცხოველებს საკვებისთვის, ტანსაცმლისთვის ან როგორც გამწვევ ძალას;

გადაწყვეტილია შეიზღუდოს ცხოველების გამოყენება ექსპერიმენტების და სხვა სამეცნიერო მიზნებისთვის შესაბამის შემთხვევებში ამგვარი გამოყენების ჩანაცვლებით, კერძოდ ჩანაცვლების ალტერნატივების მოძიებითა და ასეთი ალტერნატიული მეთოდების გამოყენების ხელშეწყობით;

გამოთქვამენ რა სურვილს მიიღონ საერთო დებულებები იმ პროცედურებში გამოყენებულ ცხოველთა დაცვის მიზნით, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ტკივილი, ტანჯვა, სტრესი ან ხანგრძლივი ზიანი, ასევე უზრუნველყოს, რომ მათი გარდაუვალობის შემთხვევაში ამგვარი შედეგები იქნას მინიმუმამდე დაყვანილი,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

## თავი I – ზოგადი პრინციპები

### მუხლი 1

1. წინამდებარე კონვენცია მოქმედებს იმ ნებისმიერ ცხოველთან დაკავშირებით, რომელიც გამოიყენება ან გამოყენებულ უნდა იქნას ნებისმიერ ექსპერიმენტში ან სხვა სამეცნიერო პროცედურაში, სადაც ამგვარმა პროცედურამ შესაძლოა გამოიწვიოს ტკივილი, სტრესი ან ხანგრძლივი დაზიანება. აღნიშნული კონვენცია არ გამოიყენება ნებისმიერ არაექსპერიმენტულ, სოფლის მეურნეობაში ან კლინიკურ-ვეტერინარულ პრაქტიკაში გამოყენებულ ცხოველებთან მიმართებით.
2. წინამდებარე კონვენციაში:
  - ა „ცხოველი“; თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ნიშნავს ნებისმიერ, ხერხემლიან ცოცხალ არსებას ადამიანის გარდა, მატლის სტადიაში მყოფი ავტონომიური და/ან რეპროდუქციის უნარის მქონე ფორმების ჩათვლით, მაგრამ სხვა ჩანასახოვანი ან ემბრიონალური ფორმების გამოკლებით;
  - ბ „გამოყენებისთვის განკუთვნილი“ ნიშნავს გასაყიდად, გადასაცემად ან ნებისმიერ ექსპერიმენტულ ან სხვა სამეცნიერო პროცედურებში გამოსაყენებლად გამოზრდილ ან გამრავლებულს;
  - გ „პროცედურა“ ნიშნავს ცხოველის ნებისმიერ, ექსპერიმენტულ ან სხვა სახის სამეცნიერო მიზნებისთვის გამოყენებას, რამაც შესაძლოა მიაყენოს მას ტკივილი, ტანჯვა, დისტრესი ან ხანგრძლივი ზიანი, ნებისმიერი იმ ჩარევის ჩათვლით, რაც გამიზნულია ან შესაძლოა შედეგად გამოიწვიოს ამ პირობებში ცხოველის დაზარალება; ამასთან გამოირიცხება თანამედროვე პრაქ-

ტიკაში მიღებული, ცხოველის ევთანაზიის ან მარკირების ნაკლებად მტკივნეული მეთოდები (ანუ, „ჰუმანური მეთოდები“).

პროცედურა იწყება, როდესაც ცხოველი პირველად მზადდება გამოყენებისთვის, ხოლო სრულდება, როდესაც ამ პროცედურისთვის აღარ ხორციელდება არანაირი შემდგომი დაკვირვებები; ანესთეზიის, ანალგიის ან ნებისმიერ სხვა მეთოდის წარმატებით გამოყენების შედეგად ტკივილის, ხანგრძლივი დაზიანების ან დისტრესის მოხსნით ცხოველის გამოყენება არ სცილდება მოცემული განმარტების ფარგლებს;

- დ „კომპეტენტური პირი“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელსაც მოცემული მხარე მის ტერიტორიაზე განიხილავს კომპეტენტურად წინამდებარე კონვენციაში განსაზღვრული შესაბამისი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით;
- ე „პასუხისმგებელი ორგანო“ ნიშნავს მოცემული მხარის ტერიტორიაზე სათანადო მიზნით დანიშნულ უფლებამოსილ ორგანოს, დაწესებულებას ან პირს;
- ვ „დაწესებულება“ ნიშნავს ნებისმიერ სტაციონარულ ან მობილურ ნაგებობას, ნებისმიერ შენობას, შენობების ან სხვა ნაგებობების ჯგუფს იმ ადგილის ჩათვლით, რომელიც არ არის მთლიანად შემოღობილი ან დახურული;
- ზ „საშენი“ ნიშნავს ნებისმიერ დაწესებულებას, სადაც ხდება ცხოველების მოშენება პროცედურებში მათი გამოყენების მიზნით;
- თ „მომმარაგებელი დაწესებულება“ ნიშნავს საშენისგან განსხვავებულ ნებისმიერ დაწესებულებას, საიდანაც ხდება ცხოველების მოწოდება პროცედურებში მათი გამოყენების მიზნით;
- ი „მომმარებელი დაწესებულება“ ნიშნავს ნებისმიერ დაწესებულებას, სადაც ცხოველები გამოიყენება პროცედურებში;
- კ „ევთანაზიის ჰუმანური მეთოდები“ ნიშნავს ცხოველის ევთანაზიას მინიმალური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვის მიყენებით, კონკრეტული სახეობის თავისებურებების გათვალისწინებით.

## მუხლი 2

პროცედურა შესაძლოა ჩატარდეს მხოლოდ შემდეგი ერთი ან მეტი მიზნით და წინამდებარე კონვენციაში განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით:

ა i ადამიანის, ხერხემლიანი და უხერხემლო ცხოველების ან მცენარეების დაავადებების, სუსტი ჯანმრთელობის ან სხვა ანომალიების ან მათი შედეგების თავიდან აცილება, მედიკამენტების, ნივთიერებების ან პროდუქტების წარმოების და ხარისხის, ეფექტურობისა და უსაფრთხოების ტესტირების ჩათვლით;

ii ადამიანის, ხერხემლიანი და უხერხემლო ცხოველების ან მცენარეების დაავადებების, სუსტი ჯანმრთელობის ან სხვა ანომალიების ან მათი შედეგების დიაგნოსტიკა ან მკურნალობა;

ბ ადამიანებში, ხერხემლიან და უხერხემლო ცხოველებში ან მცენარეებში ფიზიოლოგიური მდგომარეობის აღმოჩენა, შეფასება, რეგულირება ან მოდიფიცირება;

გ გარემოს დაცვა;

დ სამეცნიერო კვლევები;

ე განათლება და პროფესიული მომზადება;

ვ სასამართლო ექსპერტიზა.

### მუხლი 3

თითოეული მხარე ვალდებულია მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა წინამდებარე კონვენციის დებულებების განსახორციელებლად და რაც შეიძლება მალე და ნებისმიერ შემთხვევაში წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან ხუთ წელიწადში უზრუნველყოს კონტროლისა და ზედამხედველობის ეფექტური სისტემა.

### მუხლი 4

წინამდებარე კონვენციის არცერთი დებულება ხელს არ უშლის რომელიმე მხარეს მიიღოს უფრო მკაცრი ზომები პროცედურებში გამოყენებული ცხოველების დაცვის ან ამგვარ პროცედურებში ცხოველების გამოყენების კონტროლისა და შეზღუდვის მიზნით.

## თავი II – ცხოველების მოვლა და დაბინავება

### მუხლი 5

1. პროცედურებში გამოყენებული ან გამოყენებისთვის განკუთვნილი ნებისმიერი ცხოველი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საცხოვრებლით, გარკვეული გარემოთი, სულ მცირე თავისუფალი მოძრაობის მინიმალური შესაძლებლობებით, საკვებით, წყლით და მისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის შესაბამისი მოვლით. ცხოველის მიერ საკუთარი ფიზიოლოგიური და ეთოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალების ნებისმიერი შეზღუდვა შეძლებისდაგვარად უნდა იქნას თავიდან აცილებული. ამ დებულების შესრულებისას ყურადღება უნდა მიექცეს ცხოველების დაბინავებისა და მოვლის ინსტრუქციებს, რომლებიც წარმოდგენილია წინამდებარე კონვენციის „ა“ დანართში.
2. გარემო პირობები, სადაც ხდება ცხოველის გამრავლება, მოვლა ან გამოყენება უნდა შემოწმდეს ყოველდღიურად.
3. ცხოველების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დაკვირვება უნდა მოხდეს საკმარისი ყურადღებით და სიხშირით, რათა თავიდან იქნას აცილებული ტკივილის, ხანგრძლივი ტანჯვის, სტრესის ან ზიანის მიყენების შემთხვევები.
4. თითოეულმა მხარემ უნდა განსაზღვროს სათანადო ღონისძიებები იმის უზრუნველსაყოფად, ნებისმიერი გამოვლენილი შეუსაბამობის ან ტკივილის მიყენების შემთხვევა რაც შეიძლება მალე იქნას აღმოფხვრილი.

## თავი III – პროცედურის გახორციელება

### მუხლი 6

1. პროცედურა არ იქნება გახორციელებული მე-2 მუხლში მითითებული ნებისმიერი მიზნით, თუ არსებობს მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად გახორციელებადი სხვა მეთოდი, რომლისთვისაც არ არის აუცილებელი ცხოველის გამოყენება.

2. თითოეულმა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერულ კვლევას იმ მეთოდების შემუშავებასთან დაკავშირებით, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია იქნება იგივე ინფორმაციის მიღება, რაც პროცედურების შემთხვევაში.

## **მუხლი 7**

როდესაც აუცილებელია პროცედურის ჩატარება, საჭიროა ყურადღებით შეირჩეს კონკრეტული სახეობის ცხოველი და საჭიროების შემთხვევაში დასაბუთებული განმარტებები უნდა წარედგინოს პასუხისმგებელ ორგანოს; სხვადასხვა პროცედურებს შორის არჩევანისას, უნდა შეირჩეს ის, სადაც გამოიყენება ცხოველების მინიმალური რაოდენობა, იწვევს ნაკლებ ტკვილს, ტანჯვას, დისტრესს ან ხანგრძლივ ზიანს და რომელიც სავარაუდოდ უზრუნველყოფს ყველაზე მეტ დამაკმაყოფილებელ შედეგებს.

## **მუხლი 8**

პროცედურა უნდა ჩატარდეს საერთო ან ადგილობრივი ანესთეზიის ან ანალგეზიის ქვეშ ან სხვა იმ მეთოდებით, რომლებიც მაქსიმალურად შესუსტებს ტკივილს, ტანჯვას, სტრესს ან ხანგრძლივ ზიანს იმ შემთხვევების გარდა, თუ:

- ა პროცედურით გამოწვეული ტკივილი უფრო სუსტია, ვიდრე ანესთეზიით ან ანალგეზიით გამოწვეული, ცხოველის მდგომარეობის ცვლილება, ან
- ბ ანესთეზიის ან ანალგეზიის გამოყენება არ შეესაბამება პროცედურის მიზანს. ასეთ შემთხვევებში მიღებულ უნდა იქნას სათანადო სამართლებრივი და/ან ადმინისტრაციული ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამგვარი პროცედურა არ ჩატარდეს ტყუილუბრალოდ.

## **მუხლი 9**

1. იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია, რომ ცხოველი დაექვემდებაროს პროცედურას, სადაც იგი განიცდის ან შესაძლოა განიცადოს ძლიერი ტკივილი, რომელიც სავარაუდოდ იქნება ხანგრძლივი, ამგვარი პროცედურა უნდა იქნას სპეციალურად დეკლარირებული და დასაბუთებული პასუხისმგებელი ორგანოს წინაშე ან მის მიერ.
2. მიღებულ უნდა იქნას სათანადო სამართლებრივი და/ან ადმინისტრაციული ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ არცერთი ამგვარი პროცედურა არ ჩატარდეს აუცილებლობის გარეშე.

ამგვარი ზომები მოიცავს შემდეგს:

- პასუხისმგებელი ორგანოს სპეციალურ ნებართვა;
- ან ამგვარი პროცედურის სპეციალურად წარდგენა პასუხისმგებელი ორგანოსთვის და აღნიშნული ორგანოს მიერ სასამართლო ან ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარება თუ იგი არ არის დარწმუნებული, რომ პროცედურა საკმარისად მნიშვნელოვანია ადამიანის ან ცხოველის ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, მეცნიერული პრობლემების გადაწყვეტის ჩათვლით.

## მუხლი 10

პროცედურის განმავლობაში, თითოეულ გამოყენებულ ცხოველზე ვრცელდება მე-5 მუხლის დებულებები გარდა შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული დებულებები არ შეესაბამება პროცედურის მიზნებს.

## მუხლი 11

1. პროცედურის დასრულებისას მიიღება გადაწყვეტილება იმის თაობაზე დარჩეს ცხოველი ცოცხალი თუ მოხდეს მისი ევთანაზია ჰუმანური მეთოდებით. არ შეიძლება ცხოველის ცოცხლად დატოვება მაშინაც კი, თუ ყველა სხვა ასპექტში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა აღდგება ნორმის ფარგლებში, მაგრამ იარსებებს იმის ალბათობა, რომ იგი მუდმივად განიცდის ტკივილს, სტრესს ან ტანჯვას.
2. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ გადაწყვეტილებას იღებს კომპეტენტური პირი, კერძოდ ვეტერინარი ან პირი, რომელიც მე-13 მუხლის შესაბამისად პასუხისმგებელია პროცედურის ჩატარებაზე, ან რომელმაც ჩაატარა პროცედურა.
3. იმ შემთხვევაში, თუ პროცედურის დასრულების შემდეგ:
  - ა ცხოველი უნდა დარჩეს ცოცხალი, მას უნდა გაეწიოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი მოვლა, მოთავსდეს ვეტერინარის ან სხვა კომპეტენტური პირის მეთვალყურეობის ქვეშ და შეექმნას მე-5 მუხლში განსაზღვრული პირობები. თუმცა, წინამდებარე ქვე-პუნქტში მითითებული პირობები შესაძლოა არ იქნას დაკმაყოფილებული თუ ვეტერინარის აზრით ცხოველი აღნიშნული პირობების შეუსრულებლობის შედეგად არ განიცდის სტრესს;
  - ბ ცხოველი არ უნდა დარჩეს ცოცხალი ან იგი ვერ მიიღებს სარგებელს მე-5 მუხლში მითითებული პირობებით მისი ნორმალური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად, უნდა მოხდეს მისი ევთანაზია ჰუმანური მეთოდებით, რაც შეიძლება მალე.
4. დაუშვებელია ნებისმიერი იმ ცხოველის შემდგომ პროცედურაში გამოყენება, რომელმაც პროცედურაში გამოყენების შედეგად განიცადა ძლიერი ან ხანგრძლივი ტკივილი ან ტანჯვა მიუხედავად იმისა, გამოყენებულ იქნა ანესთეზია ან ანალგია თუ არა, თუ მისი ჯანმრთელობა და მდგომარეობა არ დაუბრუნდა ნორმის ფარგლებს იმპირობით, რომ:
  - ა მთელი შემდეგი პროცედურის განმავლობაში ცხოველი იქნება საერთო ანესთეზიის ქვეშ და ეს მდგომარეობა შენარჩუნდება ცხოველის ევთანაზიამდე; ან
  - ბ შემდეგი პროცედურა მოიცავს მხოლოდ უმნიშვნელო ჩარევას.

## მუხლი 12

წინამდებარე კონვენციის სხვა დებულებების მიუხედავად, როდესაც ეს აუცილებელია პროცედურის კანონიერი მიზნებისთვის, პასუხისმგებელმა ორგანომ შესაძლოა დართოს მოცემული ცხოველის გაშვების ნება იმ პირობით, თუ ეს უკანასკნელი დარწმუნდება, რომ ცხოველის ნორმალური მდგომარეობისთვის გაწეულ იქნა მაქსიმალურად შესაძლო მოვლა-მზრუნველობა. პროცედურები, რომლებიც მოიცავს ცხოველის გათავისუფლებას მხოლოდ საგანმანათლებლო ან სასწავლო მიზნებისთვის, დაუშვებელია.

## თავი IV – ნებართვა

### მუხლი 13

მე-2 მუხლში მითითებული მიზნებისთვის პროცედურა შესაძლოა ჩატარდეს მხოლოდ უფლებამოსილი პირების მიერ ან უფლებამოსილი პირის უშუალო პასუხისმგებლობის ქვეშ, ან თუ მოცემული ექსპერიმენტული ან სხვა სამეცნიერო პროექტის ჩატარება ნებადართულია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ნებართვა გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, რომელთაც პასუხისმგებელი ორგანო მიიჩნევს კომპეტენტურად.

## თავი V – საშენი ან მომმარაგებელი დაწესებულებები

### მუხლი 14

საშენი და მომმარაგებელი დაწესებულებების რეგისტრაცია უნდა მოხდეს პასუხისმგებელ ორგანოში თუ 21-ე ან 22-ე მუხლების შესაბამისად ისინი არ არიან გათავისუფლებული ამგვარი ვალდებულებისგან. აღნიშნული რეგისტრირებული დაწესებულებები უნდა აკმაყოფილებდნენ მე-5 მუხლის მოთხოვნებს.

### მუხლი 15

მე-14 მუხლში მითითებული რეგისტრაცია უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მოცემულ დაწესებულებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ, რომელიც არის სათანადოდ კომპეტენტური იმისთვის, რომ უზრუნველყოს ან ორგანიზება გაუკეთოს დაწესებულებაში მოშენებულ ან მყოფ ცხოველებზე ზრუნვას.

### მუხლი 16

1. რეგისტრირებულ საშენ დაწესებულებებში მიღებულ უნდა იქნას ზომები რეესტრის საწარმოებლად, სადაც აღირიცხება საშენში არსებული ცხოველები, იმ ცხოველთა რაოდენობა და სახეობები, რომელთაც დატოვებს დაწესებულება, დაწესებულების დატოვების თარიღი და მიმღების სახელი და მისამართი.
2. რეგისტრირებულ მომმარაგებელ დაწესებულებებში მიღებულ უნდა იქნას ზომები რეესტრის საწარმოებლად, სადაც აღირიცხება აღნიშნულ დაწესებულებებში შემოყვანილი და აქედან გაყვანილი ცხოველების რაოდენობა და სახეობები, ამგვარი ქმედებების გახორციელების თარიღები, ამგვარი ცხოველების მომწოდებლები და მიმღების სახელი და მისამართი.
3. პასუხისმგებელი ორგანო განსაზღვრავს რეესტრების ფორმას, რომლებიც უნდა იწარმოოს და წარედგინოს მას მოცემული მუხლის 1 და მე-2 პუნქტებში მითითებული, დაწესებულებების პასუხისმგებელი პირის მიერ. აღნიშნული რეესტრები შენახულ უნდა იქნას მათში ბოლო მონაცემების შეყვანის თარიღიდან მინიმუმ სამი წლის განმავლობაში.



## მუხლი 17

1. დაწესებულებაში თითოეულ ძალს და კატას, სანამ მოხდება მათი დედისგან მოცილება უნდა გაუკეთდეს ინდივიდუალური, მუდმივი მარკირება შეძლებისდაგვარად უმტკივნეულო მეთოდით.
2. იმ შემთხვევაში, თუ დედისგან მოცილების შემდეგ დაწესებულებაში პირველად ხვდება ძალის ან კატა მარკირების გარეშე, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს მათი მარკირება.
3. როდესაც ხდება ძალის ან კატის ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანა სანამ მას მოაცილებენ დედას და ვერ ხერხდება მისი მარკირება, უნდა მოხდეს შესაბამისი ჩანაწერების წარმოება, კერძოდ ინფორმაციის შეტანა მისი დედის შესახებ, სანამ არ მოხდება მისი მარკირება.
4. დაწესებულების რეესტრი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას თითოეული ძალის ან კატის წარმოშობის და თავისებურებების შესახებ.

## თავი VI – მომხმარებელი დაწესებულებები

### მუხლი 18

მომხმარებელი დაწესებულებები უნდა დარეგისტრირდეს ან სხვაგვარად იქნას დამტკიცებული პასუხისმგებელი ორგანოს მიერ და ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ მე- მუხლის პირობებს.

### მუხლი 19

მიღებულ უნდა იქნას ზომები იმისთვის, რომ მომხმარებელ დაწესებულებებში იყოს ცხოველების გამოყენებული სახეობებისა და ჩასატარებელი პროცედურებისთვის შესაბამისი მოწყობილობები და აღჭურვილობა. აღნიშნული მოწყობილობებისა და აღჭურვილობის დიზაინმა, სტრუქტურულმა და ფუნქციონალურმა მახასიათებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროცედურები ჩატარდეს რაც შეიძლება ეფექტურად, რათა მიღებულ იქნას სათანადო შედეგები ცხოველების მინიმალური რაოდენობის გამოყენებით და მათთვის მინიმალური ხანგრძლივი ზიანის, ტკივილის, სტრესის ან ტანჯვის მიყენებით.

### მუხლი 20

მომხმარებელ დაწესებულებებში:

- ა უნდა დაინიშნოს პირი ან პირები, რომელთაც დაეკისრებათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ცხოველების მოვლასა და აღჭურვილობის ფუნქციონირებაზე;
- ბ უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის კვალიფიცირებული პერსონალი;
- გ მიღებულ უნდა იქნას სათანადო ზომები ვეტერინარის კონსულტაციის და მკურნალობის უზრუნველყოფის მიზნით;
- დ ვეტერინარს ან სხვა კომპეტენტურ პირს უნდა დაევალოს კონსულტაციების გახორციელება ცხოველების მდგომარეობასთან დაკავშირებით.



## მუხლი 21

1. პროცედურებში გამოსაყენებლად განკუთვნილი, ქვემოთ ჩამოთვლილი ცხოველების სახეობების შექმნა უნდა მოხდეს უშუალოდ რეგისტრირებული საშენებიდან ან მათი წარმოშობა უნდა უკავშირდებოდეს რეგისტრირებულ საშენს თუ მხარის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად არ არის უზრუნველყოფილი ამგვარი ვალდებულებისგან სპეციალური გათავისუფლება:

თაგვი	<i>Mus musculus</i>
ვირთაგვა	<i>Rattus norvegicus</i>
ზღვის გოჭი	<i>Cavia porcellus</i>
ოქროსფერი ზაზუნა	<i>Mesocricetus auratus</i>
კურდღელი	<i>Oryctolagus cuniculus</i>
ძაღლი	<i>Canis familiaris</i>
კატა	<i>Felis catus</i>
მწყერი	<i>Coturnix coturnix</i>

2. თითოეული მხარე ვალდებულია გაავრცელოს წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის დებულებები სხვა სახეობებზე, პირველ რიგში პრიმატების რიგზე, რამდენადაც გაჩნდება გამართლებული პერსპექტივა გარკვეული სახეობის და ამ მიზნებისთვის მოშენებული ცხოველების საკმარისი ოდენობის მოწოდებასთან დაკავშირებით.
3. პროცედურებში არ გამოიყენება მაწანწალა შინაური ცხოველები. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის დებულებებით განსაზღვრული გამონაკლისები არ ვრცელდება მაწანწალა ძაღლებსა და კატებზე.

## მუხლი 22

მომხმარებელ დაწესებულებებში გამოყენებული უნდა იქნას ცხოველები მხოლოდ რეგისტრირებული საშენი ან მომმარაგებელი დაწესებულებებიდან თუ მხარის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად არ მოქმედებს საერთო ან სპეციალური გამონაკლისი შემთხვევები.

## მუხლი 23

პასუხისმგებელი ორგანოს ნებართვით პროცედურები შესაძლებელია ჩატარდეს მომხმარებელი დაწესებულებების ფარგლებს გარეთ.

## მუხლი 24

მომხმარებელ დაწესებულებებში მიღებულ უნდა იქნას ზომები იმისათვის, რომ მოხდეს რეესტრების წარმოება და ისინი ხელმისაწვდომი იყოს მოთხოვნის საფუძველზე პასუხისმგებელი ორგანოსთვის. ამგვარი რეესტრები უნდა აკმაყოფილებდნენ 27-ე მუხლის მოთხოვნებს და შეიცავდეს ინფორმაციას შექმნილი ცხოველების რაოდენობისა და სახეობების, ასევე მომწოდებლების და დაწესებულებაში შემოსვლის თარიღის შესახებ.

## თავი VII – განათლება და პროფესიული მომზადება

### მუხლი 25

1. იმ პროცედურების შესახებ, რომლებიც ტარდება საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების ან გადამზადების მიზნით, პროცედურებში გამოყენებული ან გამოსაყენებლად განკუთვნილი ცხოველების მოვლის ჩათვლით, უნდა ეცნობოს პასუხისმგებელ ორგანოს და ამგვარი პროცედურები უნდა ჩატარდეს კომპეტენტური პირის მიერ ან მისი ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც პასუხს აგებს იმაზე, რომ აღნიშნული პროცედურები შეესაბამებოდეს ეროვნულ კანონმდებლობას წინამდებარე კონვენციის ფარგლებში.
2. დაუშვებელია საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების ან გადამზადების ფარგლებში ზემოთ, პირველ პუნქტში მითითებული მიზნებისგან განსხვავებული მიზნებისთვის პროცედურების ჩატარება.
3. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული პროცედურები მკაცრად უნდა შეიზღუდოს მხოლოდ იმ პროცედურებით, რომლებიც აუცილებელია საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების ან გადამზადების მიზნებისთვის და ნებადართული უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მათი მიზნის მიღწევა შეუძლებელია შედარებითი ეფექტურობის მქონე აუდიო-ვიზუალური საშუალებებით ან ნებისმიერი სხვა სათანადო მეთოდით.

### მუხლი 26

პირებს, რომლებიც ატარებენ პროცედურებს ან მონაწილეობას იღებენ პროცედურებში ან უვლიან პროცედურებში გამოყენებულ ცხოველებს, ზედამხედველობის ჩათვლით უნდა გააჩნდეთ სათანადო განათლება და კვალიფიკაცია.

## თავი VIII – სტატისტიკური ინფორმაცია

### მუხლი 27

1. თითოეულმა მხარემ უნდა შეაგროვოს სტატისტიკური ინფორმაცია პროცედურებში ცხოველების გამოყენების თაობაზე და აღნიშნული ინფორმაცია სათანადო შემთხვევებში უნდა იყოს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი.
2. შეგროვილ უნდა იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია:
  - ა პროცედურებში გამოყენებული ცხოველების რაოდენობა და სახეობები;
  - ბ გარკვეული კატეგორიის ცხოველების რაოდენობა, რომლებიც გამოიყენებიან პროცედურებში უშუალოდ სამედიცინო და საგანმანათლებლო-პროფესიული მომზადების მიზნებისთვის;
  - გ გარკვეული კატეგორიის ცხოველების რაოდენობა, რომლებიც გამოიყენებიან პროცედურებში ადამიანებისა და გარემოს დაცვის მიზნებისთვის;
  - დ გარკვეული კატეგორიის ცხოველების რაოდენობა, რომლებიც გამოიყენებიან კანონის შესაბამისად ჩატარებულ პროცედურებში.

## მუხლი 28

1. კონფიდენციალურობასა და საიდუმლოების დაცვის ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, მხარეები ყოველწლიურად გადასცემენ ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს 27-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში განსაზღვრულ მონაცემებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, წინამდებარე კონვენციის „ბ“ დანართში მითითებული ფორმით.
2. ევროსაბჭოს გენერალური მდივანი გამოაქვეყნებს მხარეებისგან მიღებულ სტატისტიკურ ინფორმაციას 27-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში განსაზღვრული მონაცემების შესახებ.
3. თითოეულმა მხარემ უნდა შეატყობინოს ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს მისი ეროვნული ორგანოს მისამართი, საიდანაც მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელი იქნება უფრო სრული ინფორმაციის მიღება ეროვნული სტატისტიკის შესახებ. აღნიშნული მისამართები მითითებული იქნება ევროსაბჭოს გენერალური მდივანის მიერ მიერ სტატისტიკური მონაცემების შესახებ მომზადებულ პუბლიკაციებში.

## თავი IX – მეორე მხარის ტერიტორიაზე ჩატარებული პროცედურების აღიარება

### მუხლი 29

1. ჯანდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით კანონით მოთხოვილი პროცედურების განმეორების თავიდან აცილების მიზნით, თითოეულმა მხარემ, შესაბამის შემთხვევებში უნდა აღიაროს მეორე მხარის ტერიტორიაზე ჩატარებული პროცედურების შედეგები.
2. ამ მიზნით მხარეები ვალდებულია იღებენ სათანადო და კანონით ნებადართულ შემთხვევებში გაუწიონ ერთმანეთს დახმარება, კერძოდ მიაწოდონ ინფორმაცია პროდუქტების რეგისტრაციისთვის განაცხადების მიწოდებისთვის აუცილებელი პროცედურების მოთხოვნებთან დაკავშირებული მათი კანონმდებლობისა და ადმინისტრაციულ პრაქტიკის შესახებ, ასევე ფაქტობრივი ინფორმაცია მათ ტერიტორიაზე ჩატარებული პროცედურების და ამგვარ პროცედურებთან დაკავშირებული ნებართვების ან ნებისმიერი სხვა ადმინისტრაციული საკითხების შესახებ.

## თავი X – მრავალმხრივი კონსულტაციები

### მუხლი 30

1. მხარეები წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში და ამის შემდეგ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ან უფრო ხშირად თუ ამას მოითხოვს მხარეთა უმრავლესობა, გამართავენ მრავალმხრივ კონსულტაციებს ევროსაბჭოს ფარგლებში წინამდებარე კონვენციის გამოყენების განხილვასთან, ასევე მისი ცალკეული დებულებების გადახედვის ან გაფართოების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.
2. აღნიშნული კონსულტაციები გაიმართება ევროსაბჭოს გენერალური მდივანის მიერ მოწვეულ კრებებზე. თითოეული ამგვარი კრების ჩატარებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე მხარეების აცნობებენ ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს მათი წარმომადგენლების სახელებს.
3. წინამდებარე კონვენციის დებულებების შესაბამისად, მხარეები შეადგენენ პროცედურულ წესებს კონსულტაციებისთვის.

## ნაწილი XI – შესწორებები

### მუხლი 31

1. მხარეების ან ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ „ა“ და „ბ“ დანართებთან დაკავშირებით შეთავაზებული შესწორებების თაობაზე უნდა ეცნობოს ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს და ამ უკანასკნელის მიერ მიეწოდოს ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს, ევროკავშირს და ნებისმიერ არაწევრ ქვეყანას, რომელიც შეუერთდა ან მოწვეულ იქნა შეერთებულ კონვენციას 34-ე მუხლის დებულებების თანახმად.
2. წინა პუნქტის დებულებების შესაბამისად შეთავაზებული შესწორებების შესწავლა მოხდება გენერალური მდივნისთვის მათი გადაგზავნის თარიღიდან არანაკლებ ექვსი თვის განმავლობაში მრავალმხრივი კონსულტაციების საფუძველზე, სადაც იგი მიიღება მხარეთა ორი-მესამედი უმრავლესობის მიერ. დამტკიცებული ტექსტი გადაეგზავნებათ მხარეებს.
3. მრავალმხრივი კონსულტაციების საფუძველზე მისი მიღებიდან თორმეტი თვის შემდეგ ნებისმიერი შესწორება შედის ძალაში, თუ მხარეთა ერთი-მესამედი არ განაცხადებს უარს.

## თავი XII – დასკვნითი დებულებები

### მუხლი 32

წინამდებარე კონვენცია ღიაა ევროსაბჭოს და ევროკავშირის წევრი-ქვეყნების მიერ ხელმოწერისთვის. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას, დამტკიცებას ან მიღებას. რატიფიკაციების, დამტკიცების ან მიღების დოკუმენტები ინახება ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან.

### მუხლი 33

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის იმ ექვსთვიანი პერიოდის ამოწურვის შემდეგი თვის პირველ დღეს, როდესაც ევროსაბჭოს ოთხმა წევრმა ქვეყანამ განაცხადა თანხმობა აქლო ვალდებულებები კონვენციის შესაბამისად 32-ე მუხლის პირობების თანახმად.
2. იმ ნებისმიერი ხელისმომწერი მხარისთვის, რომელიც მოგვიანებით გამოხატავს თანხმობას კონვენციის პირობებით ვალდებულებების აღების თაობაზე, კონვენცია ძალაში შევა რატიფიკაციის, დამტკიცების ან მიღების დოკუმენტის ჩაბარებიდან ექვსთვიანი პერიოდის ამოწურვის შემდგომი თვის პირველ დღეს.

### მუხლი 34

1. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მოიწვიოს ნებისმიერი, ევროსაბჭოს არაწევრი სახელმწიფო წინამდებარე კონვენციაში ჩასართავად, ევროსაბჭოს წესდების 20-დ მუხლით განსაზღვრული უმრავლესობის და იმ სახელმწიფოების წარმომადგენელთა ერთხმა გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლებიც წარმომადგენენ მოცემული კონვენციის მხარეებს და გააჩნიათ კომიტეტის წევრობის უფლებამოსილება.

2. თითოეული კონვენციაში ჩართული სახელმწიფოსთვის კონვენცია ძალაში შედის ევროსაბჭოს გენერალური მდივნისთვის კონვენციაში ჩართვის შესახებ დოკუმენტის ჩაბარების თარიღიდან ექვსთვიანი პერიოდის გასვლის შემდგომი თვის პირველი დღიდან.

### **მუხლი 35**

1. ნებისმიერ ხელისმომწერ სახელმწიფოს, ხელისმომწერის მომენტისთვის ან რატიფიცირების, დამტკიცების ან ჩართვის შესახებ დოკუმენტის ჩაბარებისას შეუძლია გააკეთოს ერთი ან მეტი დათქმა. თუმცა, დაუშვებელია რაიმე დათქმის გახორციელება 1-14 ან 18-20 მუხლებთან დაკავშირებით.
2. ნებისმიერ მხარეს, რომელმაც წინა პუნქტის შესაბამისად განახორციელა დათქმა, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიხმოს იგი ევროსაბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული შეტყობინების საფუძველზე. აღნიშნული გამომხმობა ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღების თარიღიდან.
3. მხარეს, რომელმაც განახორციელა დათქმა წინამდებარე კონვენციის დებულებებთან დაკავშირებით არ შეუძლია განაცხადოს პრეტენზია ნებისმიერი სხვა მხარის მიერ ამ დებულების გამოყენებასთან დაკავშირებით; თუმცა, თუ მისი დათქმა ნაწილობრივი ან პირობითია, მას შეუძლია მოითხოვოს ამ დებულების გამოყენება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც იგი იღებს მას.

### **მუხლი 36**

1. ნებისმიერ ხელისმომწერ სახელმწიფოს, ხელისმომწერის მომენტისთვის ან რატიფიცირების, დამტკიცების ან ჩართვის შესახებ დოკუმენტის ჩაბარებისას შეუძლია განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელთა მიმართაც გამოიყენება წინამდებარე კონვენცია.
2. მოგვიანებით ნებისმიერ დროს, ნებისმიერ მხარეს, ევროსაბჭოს გენერალური მდივნისთვის დეკლარაციის წარდგენის საფუძველზე შეუძლია გააფართოვოს წინამდებარე კონვენციის გამოყენება დეკლარაციაში მითითებულ ნებისმიერ ტერიტორიასთან დაკავშირებით. ამგვარ ტერიტორიასთან მიმართებით კონვენცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ აღნიშნული დეკლარაციის მიღების თარიღიდან ექვსთვიანი პერიოდის ამოწურვის შემდგომი თვის პირველი დღიდან.
3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად მიწოდებული დეკლარაცია, რომელიც ეხება ამ დეკლარაციაში მითითებულ ნებისმიერ ტერიტორიას, შესაძლებელია იქნას უკან გამომხმობილი გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე. აღნიშნული გამომხმობა ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ექვსთვიანი პერიოდის ამოწურვის შემდგომი თვის პირველი დღიდან.

### **მუხლი 37**

1. თითოეულ მხარეს, ნებისმიერ დროს შეუძლია უარი განაცხადოს წინამდებარე კონვენციაში მონაწილეობაზე ევროსაბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.
2. კონვენციაში მონაწილეობაზე აღნიშნული უარი ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ექვსთვიანი პერიოდის ამოწურვის შემდგომი თვის პირველი დღიდან.

### მუხლი 38

ევროსაბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ევროსაბჭოსა და ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს და იმ ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც შეუერთდა წინამდებარე კონვენციას შემდეგის შესახებ:

- ა ნებისმიერი სახის ხელმოწერა;
- ბ რატიფიცირების, დამტკიცების ან კონვენციაში ჩართვის ნებისმიერი დოკუმენტის მიწოდება;
- გ 33-ე, 34-ე და 36-ე მუხლების შესაბამისად წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის ყველა თარიღი;
- დ ნებისმიერი სხვა ქმედება, შეტყობინება ან განაცხადი, რომელიც უკავშირდება წინამდებარე კონვენციას;

რის დასადასტურებლადაც, ქვემოთხელისმომწერებმა, მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით ხელი მოაწერეს წინამდებარე კონვენციას.

შედგენილია სტრასბურგში, 1986 წლის 18 მარტს, ერთ ეგზემპლარად, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და აღნიშნული ეგზემპლარი გადაეცემა ევროსაბჭოს არქივს. ევროსაბჭოს გენერალური მდივანი გაუგზავნის დამოწმებულ ასლებს ევროსაბჭოსა და ევროკავშირის თითოეულ წევრ-ქვეყანას და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მოწვეულ იქნა წინამდებარე კონვენციაში ჩართვის მიზნით.